სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080119471717722

№ 3719

21 / ნოემბერი / 2022 წ.

განკარგულება შპს „რაგი 444“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქედის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერების ნომრები: NAT210025032, NAT210025034, NAT210025308 და NAT210025311;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „რაგი 444“ (ს/ნ: 446758385);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 26 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 26 სექტემბრის № 94-94222694 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №7274), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „რაგი 444“-ის (ს/ნ: 446758385) მიერ NAT210025032, NAT210025034, NAT210025308 და NAT210025311 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2022 წლის 24 და 26 იანვრის №13, №14, №15 და №16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის avtosanikidze@gmail.com მეშვეობით, 2022 წლის 30 სექტემბრის № 3202 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2022 წლის 13 ოქტომბერს სააგენტოში წარმოადგინა 2022 წლის 10 ოქტომბრის განმარტება (რეგისტრაციის № 7818) მის მიერ NAT210025032, NAT210025034, NAT210025308 და NAT210025311 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2022 წლის 24 და 26 იანვრის №13, №14, №15 და №16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტების თანახმად, იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, თუმცა სამუშაოების შესრულებას აფერხებდა უამინდობა, ნალექის გამო ობიექტამდე მისასვლელ გზაზე გადაადგილების შეუძლებლობა, მიღება-ჩაბარების აქტების არადროულად გაფორმება და შესრულებული სამუშაოების ღირებულების გვიან ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეგრძელებინა სამუშაოების შესრულება, რასაც ემატებოდა პანდემიის შემდეგ ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო მასალების ფასების გაზრდაც. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ არსებობდა ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, რადგან მათ ადგილზე თავად უწევდათ ყოფნა, თუმცა, უშედეგოდ. მიმწოდებელმა, ზეპირი მოსმენის საჭიროების შემთხვევაში, მზაობა გამოთქვა დასწრებოდა მოსმენის პროცესს. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა, რომ იგი არ დარეგისტრირდეს შავ სიაში.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 24 და 26 იანვარს, NAT210025032, NAT210025034, NAT210025308 და NAT210025311 ელექტრონული ტენდერების საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „რაგი 444“-მა (ს/ნ: 446758385) გააფორმეს № 13, № 14, № 15 და № 16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები, გეგმა-გრაფიკების მიხედვით, 2022 წლის 30 მაისამდე. ხელშეკრულებების ღირებულებად განისაზღვრა 104 110, 118 119,55, 136 996,56 და 179 995,5 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 1 ივლისი.

4.2. მიმწოდებლის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ უამინდობა აფერხებდა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რადგან ქვიშახრეშის და ბეტონის დანიშნულების ობიექტებზე მიტანა ვერ ხერხდებოდა მძიმე ტექნიკის გადაადგილების შეუძლებლობის გამო. ასევე შესაძლებელი იყო განვითარებულიყო მეწყერული პროცესები, ხოლო სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებისთვის საჭირო იყო ნიადაგის სრულად გამოშრობა. ამდენად, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულებების მოქმედების ვადების გაზრდა 45 კალენდარული დღით.

4.3. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 24 მარტის და 20 ივნისის №1 და №2 ურთიერთშეთანხმების აქტებით, დაკორექტირდა №13 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 14 ივლისი, ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2022 წლის 1 სექტემბერი, ხოლო ხელშეკრულების ღირებულებად 90 221,26 ლარი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 10 ივნისის №94-942216195 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ მას ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები სხვა ობიექტზე ეწარმოებინა მას შემდეგ, რაც სამუშაოები დასრულდებოდა უკვე დაწყებულ ობიექტებზე.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 1 ივლისის № 94-942218264 წერილის თანახმად, № 13 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულდებოდა არაჯეროვნად. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების დასრულება უახლოეს დღეებში და მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 ივლისის №94-942219253 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა № 13 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულება უახლოეს დღეებში, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა და მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.7. მიმწოდებლის 2022 წლის 19 ივლისის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 40 კალენდარული დღით გაზრდის შემთხვევაში, მიმწოდებელი მზად იყო შეესრულებინა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ეთხოვა, რომ სხვა ობიექტზე არ ეწარმოებინა სამუშაოები მანამ, სანამ არ დაასრულებდა სამუშაოებს უკვე დაწყებულ ობიექტებზე, რამაც გამოიწვია მიმწოდებლის მიერ სამუშაოების წარმოება პირგასამტეხლოს დაკისრების პარალელურად. წერილში ასევე ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელ გარემოებებად დასახელებული იყო შესრულებული სამუშაოების ღირებულების დროულად არჩარიცხვა, უამინდობა (ობიექტების ძირითადი ნაწილი იყო მაღლობში და ოდნავი ნალექის შედეგადაც კი იქმნებოდა მისასვლელი გზის და სამუშაებოს წარმოების პრობლემა) და ცვლილებეზე ვერშეთანხმება, თუმცა ფორსმაჟორული სიტუაციის მიუხედავად, მიმწოდებელმა, ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდისა და პროექტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, მზაობა გამოთქვა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.8. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 27 ივლისის № 03-942220856 მოხსენებითი ბარათის თანახმად, № 13 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად, კერძოდ, ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელს ერთ-ერთ ობიექტზე სამუშაოების წარმოება არ დაწყებულა. ამასთან, მიმწოდებელმა მოითხოვა დამატებითი ვადა სამუშაოების შესასრულებლად, თუმცა, იმის

გათვალისწინებით, რომ მას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ხელშემშლელი გარემოებების თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვალდებულებების შესრულების ვადა არ გაგრძელდა.

4.9. საზედამხედველო კომპანიის – შპს „ზაისი და კომპანიის“ 2022 წლის 27 ივლისის № 4/135 წერილის მიხედვით, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება შეწყვეტილი იყო.

4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 27 ივლისის №94-942220854 წერილის თანახმად, მიმწოდებელი აღარ ასრულებდა ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს და ვალდებულებები შესრულებული იყო არაჯეროვნად. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა თანხის ანაზღაურების მიზნით.

4.11. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №60 სხდომის ოქმის თანახმად, № 13 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად. ამდენად, ამავე ოქმით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.12. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 3 აგვისტოს № 94-942221590 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს ეცნობა № 13 ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.13. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, № 13 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 40 139,32 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 44%).

4.14. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 24 მარტის № 1 ურთიერთშეთანხმების აქტით, № 14 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 14 ივლისი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 1 სექტემბერი.

4.15. მიმწოდებლის 2022 წლის 16 მაისის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა № 14 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული პროექტის კორექტირება.

4.16. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 20 მაისის №94-942214048 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ პროექტის ავტორის განმარტებით, № 14 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული პროექტი არ საჭიროებდა კორექტირებას. ამდენად, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების გაგრძელება არსებული პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით.

4.17. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 25 მაისის № 94-942214583 წერილის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარდგენილი არ ჰქონდა № 14 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირველი ეტაპის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ მას ერიცხებოდა პირგასამტეხლო.

4.18. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 24 ივნისის № 94-942217510 წერილის თანახმად, № 14 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ ობიექტზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებით გათვალისწინებული რკინა-ბეტონის კიუვეტების ჩაწყობა არ ემთხვეოდა საპროექტო ნიშნულს და საჭირო იყო მათი დაწევა პროექტით გათვალისწინებულ ნიშნულამდე. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა ხარვეზის გამოსწორება.

4.19. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 ივლისის № 94-942219252 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა № 14 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულება უახლოეს დღეებში, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა და მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.20. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 27 ივლისის № 03-942220859 მოხსენებითი ბარათის თანახმად, № 14 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად, კერძოდ, ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელმა ერთ ობიექტზე სამუშაოები შეასრულა ნაწილობრივ, ხოლო მეორე ობიექტზე სამუშაოების წარმოება არ დაუწყია. ამასთან, მიმწოდებელმა მოითხოვა დამატებითი ვადა სამუშაოების შესასრულებლად, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ხელშემშლელი გარემოებების თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვალდებულებების შესრულების ვადა არ გაგრძელდა.

4.21. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №61 სხდომის ოქმის თანახმად, № 14 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად. ამდენად, ამავე ოქმით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.22. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 3 აგვისტოს № 94-942221591 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს ეცნობა № 14 ხელშეკრულების შეწყვეტისა და

პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.23. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, № 14 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 108 108,38 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 92%).

4.24. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 27 აპრილის № 2 ურთიერთშეთანხმების აქტით, დაკორექტირდა № 15 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 14 ივლისი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 1 სექტემბერი.

4.25. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 ივლისის №94-942219251 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა № 15 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულება უახლოეს დღეებში, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა და მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.26. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 27 ივლისის №03-942220857 მოხსენებითი ბარათის თანახმად, №15 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად, კერძოდ, ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელს ორ ობიექტზე სამუშაოების წარმოება არ დაუწყია. ამასთან, მიმწოდებელმა მოითხოვა დამატებითი ვადა სამუშაოების შესასრულებლად, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ხელშემშლელი გარემოებების თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვალდებულებების შესრულების ვადა არ გაგრძელდა.

4.27. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №62 სხდომის ოქმის თანახმად, № 15 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად. ამდენად, ამავე ოქმით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.28. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 3 აგვისტოს № 94-942221592 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს ეცნობა № 15 ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.29. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, № 15 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 91 620,13 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 67%).

4.30. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 24 მარტის და 9 ივნისის №1 და №2 ურთიერთშეთანხმების აქტებით, დაკორექტირდა №16 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 14 ივლისი, ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2022 წლის 1 სექტემბერი, ხოლო ხელშეკრულების ღირებულებად 178 107,65 ლარი.

4.31. მიმწოდებლის 2022 წლის 17 მაისის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ნებართვა ანაკრები ღარის მოწყობის სამუშაოების გაუთვალისწინებელი ხარჯების ფარგლებში შესრულებაზე.

4.32. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 ივლისის №94-942219250 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა № 16 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულება უახლოეს დღეებში, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა და მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.33. მიმწოდებლის 2022 წლის 12 ივლისის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ უამინდობის გამო იგი ვერ აგრძელებდა № 16 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებას. ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდა.

4.34. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 27 ივლისის №03-942220858 მოხსენებითი ბარათის თანახმად, №16 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად, კერძოდ, ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელს ორ ობიექტზე სამუშაოები შესრულებული იყო ნაწილობრივ, ხოლო ერთ ობიექტზე სამუშაოების წარმოება არ იყო დაწყებული. ამასთან, მიმწოდებელმა მოითხოვა დამატებითი ვადა სამუშაოების შესასრულებლად, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ხელშემშლელი გარემოებების თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვალდებულებების შესრულების ვადა არ გაგრძელდა.

4.35. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის №63 სხდომის ოქმის თანახმად, № 16 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად. ამდენად, ამავე ოქმით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.36. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 3 აგვისტოს № 94-942221597 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს ეცნობა № 16 ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.37. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, № 16 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა 88 171,95 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 50%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „რაგი 444“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდა. მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ გარემოებებთან (უამინდობა და ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო მასალების ფასების გაზრდა) დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ, ერთ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტებით, შესაბამისი საფუძვლის გამო, გაგრძელდა, როგორც ვალდებულებების შესრულების, ასევე ხელშეკრულებების მოქმედების ვადები, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მიმწოდებელს უარი ეთქვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდაზე, რასთან დაკავშირებითაც სააგენტო განმარტავს, რომ, საქმეში არსებული მასალებით, არ დგინდება მიზეზშედეგობრივი კავშირი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასა და მიმწოდებლის მიერ მითითებულ გარემოებებს შორის. რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტების არადროულად გაფორმებასა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების გვიან ანაზღაურებას, სააგენტო აღნიშნავს, რომ ხსენებული საკითხი განეკუთვნება მხარეთა სახელშეკრულებო დავის საგანს და უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების ან სასამართლოსთვის მიმართვის გზით. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ საზედამხედველო კომპანიის – შპს „ზაისი და კომპანიის“ 2022 წლის 27 ივლისის № 4/135 წერილის მიხედვით, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება შეწყვეტილი იყო, ხოლო არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა არასრულად. ამდენად, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამომრიცხავი გარემოება. სააგენტო ასევე მიუთითებს, რომ მიმწოდებლისთვის ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღებამდე იყო ცნობილი, თუ რა რელიეფზე და გეოგრაფიულ პირობებში მოუწევდა სამუშაოების შესრულება. ამაგვარად, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიწმოდებლის მითეთებას რთულ რელიეფთან დაკავშირებით. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გამართვას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. შესაბამისად, ზეპირი მოსმენის ჩატარება განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „რაგი 444“-ს (ს/ნ: 446758385) 2022 წლის 5 იანვარს მიეცა გაფრთხილება NAT210002708 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და იგი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. მიმწოდებლის გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იწურება 2023 წლის 5 იანვარს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ოთხი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. შესაბამისად, მოცემული დარღვევებისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, შპს „რაგი 444“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „რაგი 444“ (ს/ნ: 446758385) 2022 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ოთხი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე